

თავისუფალი თიროქსინი (FT4)

თიროქსინი (T4) არის ერთერთი ჰორმონი, რომელსაც ფარისებრი ჯირკვავალი წარმოქმნის. T4 მეტაბოლიზმის რეგულირებაში მონაწილეობს.

T4-ის მოლეკულების უმეტესობა ცილასთან არის შეკავშირებული. მხოლოდ მცირე ნაწილია შეუკავშირებელი და მას თავისუფალი თიროქსინი ანუ FT4 ეწოდება.

რატომ კეთდება FT4-ის ტესტი?

FT4-ის ტესტი ძირითადად კეთდება მაშინ, როდესაც პაციენტს ჰიპერ ან ჰიპოთირეოიდიზმის სიმპტომები აქვს. ეს ტესტი ასევე ინიშნება თუკი ადამიანს აქვს ჩიყვი ან TSH-ის ანალიზის პასუხებში ნორმიდან გადახრა აღინიშნება.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

ანალიზისთვის იღებენ სისხლს ვენიდან. სპეციალური მომზადება საჭირო არ არის.

რას ნიშნავს მომატებული FT4?

FT4-ის დონის მომატებას ჰიპერთირეოიდიზმი იწვევს.

რას ნიშნავს დაბალი FT4?

დაქვეითებული FT4-ის მიზეზი შეიძლება ჰიპოთირეოიდიზმი იყოს.

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

სხვა დასახელება არ გააჩნია.

საჭირო ინფორმაცია

ზოგიერთმა მედიკამენტმა (მაგ. ორალურმა კონტრაცეპტივებმა) შეიძლება გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე. თუმცა, ზოგადად, გარეშე ფაქტორებს საერთო T4-ის დონის შეცვლა უფრო შეუძლიათ, ვიდრე FT4-ის.